ABOUT HIV

ოჯახი და შვილები

აივ-ის მქონე ადამიანებს შეიძლება ყავდეთ ოჯახი და ჯანმრთელი, აივ-ნეგატიური შვილები. იმ შემთხვევაში კი თუ თქვენს შვილს აქვს აივი, გახსოვდეთ, რომ არსებობს ეფექტური მკურნალობა და მას ჩვეულებრივი, ხანგრძლივი სიცოცხლე შეიძლება ქონდეს.



ბავშვის ყოლა პარტნიორისათვის აივ-ის გადაცემის გარეშე

თუ თქვენ გსურთ ბავშვის ყოლა და ამ დროს ერთი პარტნიორი აივ-დადებითი, ხოლო მეორე აივ-ნეგატიურია, ეფექტური მკურნალობა გაძლევთ ჩასახვის შესაძლებლობას პარტნიორისათვის სქესობრივი კავშირის დროს ვირუსის გადაცემის გარეშე.

გარკვეულ გარემოებებში აივ-ის გადაცემის რისკი არის ძალზე მცირე. დაუცველი სექსი წყვილისათვის ქალის დაორსულების მიზნით მიჩნეულია უსაფრთხოდ, თუ:

- აივ-პოზიტიური პარტნიორი ღებულობს აივ-საწინააღმდეგი მედიკამენტებს დანიშნულების მიხედვით, და
- ექვს თვეზე მეტი პერიოდის განმავლობაში მათ აქვთ არაგამოვლენადი ვირუსული დატვირთვა, და
- არცერთ პარტიორს არ აქვს სქესობრივი გზით გადამდები დაავადება, და
- თქვენ გაქვთ დაუცველი სქესობრივი კავშირი მხოლოდ ოვულაციის დღეებში.

აივ-ნეგატიურ პარტნიორს შეიძლება დაუნიშნონ ანტირეტროვირუსული პრეპარატები დაუცველი სექსის დღეებში და სხვა პრევენციული ზომები (რასაც ექსპოზიციის შემდგომ პროფილაქტიკას უწოდებენ).

თუ თქვენ ან თქვენს პარტნიორს გაქვთ C ჰეპატიტი და აპირებთ დაორსულებას, გაესაუბრეთ ამის შესახებ თქვენს სამედიცინო ჯგუფს. C ჰეპატიტის მკურნალობა შეიძლება შეიცავდეს პრეპარატს რიბავირინს, რომელიც ნაყოფისათვის სახიფათო შეიძლება აღმოჩნდეს.

დედიდან ბავშვზე გადაცემის პრევენცია

ყოველწლიურად ათასეულობით აივ-პოზიტიური ქალები აჩენენ ჯანმრთელ აივ-ნეგატიურ ბავშვებს. მკურნალობის გარეშე აივი შეიძლება გადაეცეს ბავშვს, მაგრამ სწორი მკურნალობის და სამედიცინო ზრუნვის პირობებში ბავშვზე აივ-ის გადაცემის რისკი ძალიან დაბალია.

ტრანსმისიის თავიდან აცილება შესაძლებელია:

- ორსულობის პერიოდში ანტირეტროვირუსული მედიკიმანტების მიღების მეშვეობით,
- საკეისრო კვეთასა და ფიზიოლოგიურ მშობიარობას შორის ფრთხილი არჩევანის გაკეთების მეშვეობით,
- ძუძუთი კვებისგან თავის შეკავებით, და
- რამდენიმე კვირის განმავლობაში ახალშობილისათვის აივ-საწინააღმდეგო მედიკამენტების მიცემით.

აივ-ის საწინააღმდეგო მკურნალობა ამცირებს დედიდან ბავშვზე აივის გადაცემის რისკს, რადგანაც ამ დროს დედის ორგანიზმში ვირუსული დატვირთვის დონე კლებულობს, რაც ამცირებს დედის მუცელში და მშობიარობისას ბავშვის ექსპოზიციას ვირუსისადმი. გარდა ამისა, ზოგი ანტირეტროვირუსული პრეპარატი პლაცენტის გავლით აღწევს ბავშვის ორგანიზმში და ახდენს ვირუსის დამკვიდრების პრევენციას.

შესაძლებელია აივის გადაცემა ძუძუთი კვების დროს. ხელოვნური კვება, სუფთა წყლის ხელმისაწვდომობის პირობებში, უფრო უსაფრთხოა. აივ-ინფიცირებულ ქალებს შეუძლიათ გირჩიონ თუ როგორ აუხსნათ ოჯახს და ახლობლებს რატომ არ კვებავთ ბავშვს ძუძუთი.

აივ-ინფიცირებულ მამაკაცებს შეუძლიათ არ იღელვონ ბავშვისათვის აივ-ის გადაცემის გამო, იმ შემთხვევაში თუ დედა აივ-ნეგატირუი რჩება.

www.pro-vich.info და www.about-HIV.info შემუშავება შესაძლებელი გახდა იანსენისგან (Janssen) მიღებული გულუხვი დახმარების წყალობით. დამფინანსებელს აღარ განუხორციელებია კონტროლი საიტების შინაარსზე. ამ საიტზე მოცემული ინფორმაცია გამიზნულია სამედიცინო მუშაკისგან მიღებული კონსულტაციის მხარდაჭერისათვის და არა მისი ჩანაცვლებისათვის. გაესაუბრეთ თქვენს ექიმს ან სამედიცინო გუნდის რომელიმე წევრს მოცემული ინფორმაციის თქვენს კონკრეტულ შემთხვევასთან მისადაგების მიზნით.
თანამშრომლობა: NAM aidsmap, European AIDS Treatment Group, Aids Action Europe, East Europe & Central Asia Union of PLWH and ITPCru-ს (The Treatment Preparedness Coalition) შორის.

მეტი ინფორმაციისათვს ეწვიეთ: www.about-hiv.info; www.pro-vich.info; www.aidsmap.com
UK Charity რეგისტრაციის ნომერი: 1011220

ABOUT HIV

ოჯახი და შვილები

ბავშვის ტესტირება

თუ თქვენ აივ-ინფიცირებული ქალი ხართ, მნიშვნელოვანია რომ ყველა თქვენს შვილს ჩაუტარდეს აივ-ტესტირება. იდეალურ შემთხვევაში, ეს დაბადების თანავე უნდა ხდებოდეს.

თუ ეს დაბადების თანავე არ მოხდა, მნიშვნელოვანია თქვენს შვილებს ტესტირება მაინც ჩაუტარდეს, იმ შემთხვევაშიც თუ ისინი უკვე მოზრდილები არიან და ჯანმრთელად გამოიყურებიან.

ტესტის მეშვეობით შეგიძლიათ დარწმუნდეთ, რომ თქვენს შვილს არ აქვს აივი. თუმცა, ზოგ შემთხვევებში ბავშვი შეიძლება წლების განმავლობაში ცხოვრობდეს აივ-ით გამოხატული პრობლემების გარეშე. თუ აღმოჩნდა, რომ თქვენი შვილი აივ-პოზიტიურია, აივ-ინფიცირებულთა მხარდაჭერის ჯგუფები დაგეხმარებათ იმის დასადგენად თუ როგორ უთხრათ ბავშვს დიაგნოზის შესახებ.

აივი ბავშვებში

ჯანმრთელობის მდგომარეობის სათანადო მართვის პირობებში და აივ-საწინააღმდეგო მკურნალობის წყალობით, აივ-ის მქონე ბავშვებს შეუძლიათ ბედნიერი და ხანგრძლივი ცხოვრებით იცხოვრონ. აივ-ის მკურნალობა ძალიან ეფექტურია ბავშვებში და მისი წყალობით მდგომარეობა მართვადია ხანგრძლივი პერიოდის პერსპექტივით.

აივ-დადებითი ბავშვებისათვის სამედიცინო ზრუნვა სპეციალიზირებულია. აივ-ის განვითარება ჩვილებში და ბავშვებში საგრძნობლად განსხვავდება ზრდასრული ადამიანების ორგანიზმში ვირუსის განვითარებისგან, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვებში აივ-ის პროგრესირება შეიძლება უფრო სწრაფი ტემპით წარიმართოს. თქვენი ბავშვის ჯანმრთელობის მონიტორინგი უნდა ხდებოდეს რეგულარულად, სპეციალიზირებულ კლინიკებში.

აივ-დადებით ბავშვებს უნდა მიეწოდოს გარკვეული ინფორმაცია მათი დაავადების შესახებ, მაგრამ ეს ეტაპობრივად უნდა ხდებოდეს. ის, თუ რას ეტყვით ბავშვს დამოკიდებულია ასაკზე, გათვითცნობიერების დონეზე და მათ მზაობაზე მიიღონ ინფორმაცია.

ეს თქვენი გადასაწყვეტია ეტყვით თუ არა სხვებს იმის შესახებ, რომ თქვენი შვილი აივ-დადებითია. კარგად აწონ-დაწონეთ ყველაფერი გადაწყვეტილების მიღებისას. თქვენმა შვილმა ასაკის მატებასთან ერთად შესაძლოა თავად გადაწყვიტოს თუ ვინ უნდა იცოდეს და როგორ უნდა თქვას ამის თაობაზე, მაგრამ მას შესაძლოა დასჭირდეს თქვენი დახმარება დაგეგმაში.

www.pro-vich.info და www.about-HIV.info შემუშავება შესაძლებელი გახდა იანსენისგან (Janssen) მიღებული გულუხვი დახმარების წყალობით. დამფინანსებელს აღარ განუხორციელებია კონტროლი საიტების შინაარსზე. ამ საიტზე მოცემული ინფორმაცია გამიზნულია სამედიცინო მუშაკისგან მიღებული კონსულტაციის მხარდაჭერისათვის და არა მისი ჩანაცვლებისათვის. გაესაუბრეთ თქვენს ექიმს ან სამედიცინო გუნდის რომელიმე წევრს მოცემული ინფორმაციის თქვენს კონკრეტულ შემთხვევასთან მისადაგების მიზნით.
თანამშრომლობა: NAM aidsmap, European AIDS Treatment Group, Aids Action Europe, East Europe & Central Asia Union of PLWH and ITPCru-ს (The Treatment Preparedness Coalition) შორის.

მეტი ინფორმაციისათვს ეწვიეთ: www.about-hiv.info; www.pro-vich.info; www.aidsmap.com
UK Charity რეგისტრაციის ნომერი: 1011220